



საქართველოს
შურნაღისტური
ეთიკის ქარტია

unicef 
for every child

საქართველოს შურნაღისტური ეთიკის ქარტია

**ბავშვთა საკითხების გაშუქების
მედიაგონივითების**

ანგარიში

**1 აპრილი - 1 დეკემბერი
2017 წელი**

შინაარსი

შესავალი	3
1. მონიტორინგის მეთოდოლოგია	4
2. ძირითადი ტენდენციები	5
3. მონიტორინგის შედეგები	7
3.1. სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა	9
3.2. ბავშვების გარეშე	11
3.3. ბავშვები ქველმოქმედების, რეკლამისა და პიარ მიზნებისთვის	12
3.4. ტრაგედიები სენსაციურ ჭრილში	12
3.5. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და სიღარიბეში	
მცხოვრები ბავშვები	14
3.6. ბავშვთა არასაჭირო იდენტიფიცირება	16
3.7. ბავშვების სტიგმატიზება	16
3.8. არასრულწლოვანთა სუციდის გაშუქება	18
3.9. ბავშვები ანტიდასავლური სენტემენტების გასაძლიერებლად	19
1 ივნისი	20
დასკვნა	22

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 2013 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით მუშაობს ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების გაუმჯობესების ხელშეწყობაზე. მედიაზე დაკვირვება კი ერთ-ერთი კომპონენტია ერთობლივი პროექტისა „ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება“.

მედია მონიტორინგის მიზანი ელექტრონულ, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში ბავშვთა საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლა, ბავშვთა უფლებებთან, ეთიკურ ნორმებსა და სიდრმისეულად გაშუქების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზია. წინამდებარე ანგარიშში მოცემულია 2017 წლის 1 აპრილიდან 1 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შეჯამება. შეფასებულია სხვადასხვა ტიპის მედიის თავისებურებები, ასევე წარმოდგენილია ძირითადი ტენდენციები და შესწავლილი მასალების დეტალური ანალიზი, გამოკვეთილი ხარვეზები და რეკომენდაციები.

1. მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორებმა გააანალიზეს როგორც პრესაში, ისე ონლაინ და სამაუნწყებლო მედიაში გამოქვეყნებული ყველა მასალა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა ბავშვს. აკვირდებოდნენ ცალკეულ თემებთან დაკავშირებით ბავშვების გაშუქებას, ასევე მათ შესახებ მომზადებული მასალების ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობას. ყურადღება გამახვილდა თუ რა ჭრილში, რა კონტექსტში შუქდებოდა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები, და რა თემებთან დაკავშირებით საუბრობდნენ ისინი.

ანგარიში მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ანალიზს. რაოდენობრივ კომპონენტში მონიტორები აკვირდებოდნენ და ითვლიდნენ ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებული მასალები რომელ თემას ეხებოდა. მონიტორები ასევე ითვლიდნენ რამდენი მასალა მზადდებოდა ბავშვის მონაწილეობით და მის გარეშე და რომელ თემასთან დაკავშირებით საუბრობდნენ ყველაზე ხშირად ბავშვები რესპონდენტის როლში. ითვლებოდა მასალის ტიპებიც, რომლებიც დაყოფილი იყო შემდეგნაირად:

- ✓ მოკლე ახალი ამბავი/ კადრ-სინქრონი;
- ✓ სტატია/სიუჟეტი;
- ✓ გადაცემა;
- ✓ სიღრმისეული მასალა.

თვისებრივი ანალიზისას, მონიტორებისთვის სახელმძღვანელო პრინციპებად შერჩეული იყო:

- ✓ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია;
- ✓ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო;
- ✓ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებული მითითებები და პრინციპები, რომელიც ეხება ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს;
- ✓ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- ✓ მაუნწყებელთა ქცევის კოდექსი.

2. ქირითაღი ტენდენცია

- ✓ 2017 წელს გამოჩნდა, რომ ბავშვთა საკითხების გაშუქება ონლაინ მედიაში სულ უფრო იზრდება, თუმცა უმრავლესობა მათგანი მხოლოდ მოკლე ინფორმაცია ანდა პრესრელიზის ფორმის ამბავია, რომელიც ხშირად შორს არის ჟურნალისტური ნამუშევრისგან.
- ✓ სიღრმისეული მასალების მაჩვენებელი ისევ 1 პროცენტია, დანარჩენი მასალები მხოლოდ ზედაპირულად, ფრაგმენტულად, ახალი ამბების ფორმატში აშუქებს იმ თემებს, სადაც ბავშვები ჩანან ან პირდაპირ თუ ირიბად ეხება მათ.
- ✓ შემცირდა ბავშვების, როგორც რესპონდენტების მონაწილეობით მომზადებული საერთო მაჩვენებელიც. თუ 2016 წელს ეს რიცხვი იყო 35%, წელს მაჩვენებელმა 8%-მდე დაიწია.
- ✓ გასულ წლებთან შედარებით, გაუმჯობესებული მაჩვენებელი აქვთ ტელევიზიებს. ისინი ყველაზე ხშირად ამზადებენ ბავშვების შესახებ ვრცელ სიუჟეტებს, ასევე სიღრმისეულ მასალებს. თუკი ონლაინ მედიის შემთხვევაში ძირითადად ახალი ამბების ფორმატში ზედაპირულად შექდება ბავშვებთან დაკავშირებული მასალების 99%, ტელევიზიის შემთხვევაში სიუჟეტებს, გადაცემებს და სიღრმისეულ მასალებს 35% უკავიათ.
- ✓ ყველაზე ხშირად (24%) ასევე ტელევიზიების მიერ მომზადებულ მასალებში ჩანან არასრულწლოვნები რესპონდენტის როლში.
- ✓ დილისა და შუა დღის გადაცემებში გაიზარდა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება.
- ✓ ბავშვების შესახებ მედია ყველაზე ხშირად (23%) განათლების თემასთან დაკავშირებით საუბრობს, თუმცა გაშუქებული მასალების უმრავლესობა განათლების მინისტრის ან სხვა პირთა განცხადებებია და არა განათლებაში არსებული პრობლემების ანალიზი.
- ✓ გასულ წელთან შედარებით, შეიცვალა იმ თემების პირველი სამეული, რასთან დაკავშირებითაც მედია ყველაზე ხშირად აშუქებდა ბავშვებს. გასულ წელს ეს იყო განათლება, კრიმინალი და ქველმოქმედება, 2017 წელს დარჩა განათლება პირველ ადგილზე, თუმცა შემდეგ მოდის უბედური შემთხვევები და ჯანდაცვა.
- ✓ თითქმის განახევრდა იმ მასალების რაოდენობა, რომელიც ბავშვის დასახმარებლად კონკრეტული თანხის შეგროვებას ისახავდა მიზნად.
- ✓ შედარებით გაუმჯობესდა მდგომარეობა იმ თვალსაზრისით, რომ მედია უფრო ხშირად იყენებს სხვადასხვა ორგანიზაციის ანგარიშებს, კვლევებს


იქ წარმოჩენილ პრობლემებზე შედარებით ვრცელი მასალის მოსამზადებლად. თუმცა უდიდესი ნაწილი მაინც ამჭობინებს აქცენტის გაკეთებას იმაზე, რომ კვლევა გამოქვეყნდა და არ ცდილობს იქ მოყვანილ მძიმე პრობლემებზე ფოკუსირებას.

- ✓ პოლიტიკოსები თუ კერძო და საჯარო ორგანიზაციები ხშირად იყენებენ ბავშვებს საკუთარი პიარ მიზნებისთვის. ასეთ დროს მედია მიყვება პრესსამსახურების მიერ შემოთავაზებულ ფოკუსს და აქცენტს აკეთებს კომპანიამზე, უწყებაზე და არა თავად აქტივობის შინაარსსა და ბავშვებზე. თუმცა, გასულ წელთან შედარებით, მცირე იყო წინასაარჩევნო პიარკამპანიისთვის ბავშვის გამოყენების შემთხვევები.
- ✓ კვლავაც არის არაერთი შემთხვევა, როდესაც ბავშვებთან დაკავშირებული ტრაგედიები, უბედური შემთხვევები სენსაციურ ჭრილში სენტიმენტალურად შექდება.
- ✓ ტელევიზიაში შემცირდა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების შესახებ სენტიმენტალური მასალების მომზადება.
- ✓ ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობისას მედია სეზონურ დაავადებებსა თუ სხვა ტიპის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ექიმებისგან რჩევის მიღებას ვერ სცდება. არ გვხვდება ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზი, ბავშვებისთვის არსებული პროგრამების მიმოხილვა ან კრიტიკა. არ ხსნიან, რა პრობლემებია, რა საჭიროებები აქვთ ბავშვებს.
- ✓ ზოგიერთ მასალაში ბავშვების თემა გამოყენებული იყო ანტიდასავლური განწყობების გასაძლიერებლად.
- ✓ მკვეთრად შემცირდა ძალადობის მსხვერპლების ან კრიმინალის ჩადენაში ბრალდებული არასრულწლოვნების იდენტიფიცირების შემთხვევები. ამგვარი მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.
- ✓ მსხვერპლების ან დამნაშავეების იდენტიფიცირების დამატებით საფრთხეს ქმნის ონლაინ მედიის კომენტარების ველზე მომხმარებლის წვდომა, რედაქციას უწევს მეტი რესურსის დახარჯვა ამ კომენტარების კონტროლისთვის ან საერთოდ არ აკონტროლებს მას.
- ✓ ზედმეტი სიფრთხილის გამო რიგ შემთხვევაში მედია მაშინაც ფარავს ბავშვს, როდესაც ამისი საჭიროება არ არის.
- ✓ წინა წლისგან განსხვავებით, ამ საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა ბავშვების რეტრავშირების შემთხვევები, როდესაც მედია გადატანილი სტრესის გახსენებას და მძიმე მოვლენების შესახებ ამბის მოყოლას სთხოვს არასრულწლოვანს.
- ✓ მედია ბავშვებთან დაკავშირებით იშვიათად იყენებს არასწორ ტერმინოლოგიას. მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული სიტუაცია ამ თვალსაზრისით.

3. მონიტორინგის შედეგები

2017 წელს, გასულ წლებთან შედარებით, ბავშვთა საკითხების გაშუქება გაიზარდა უმთავრესად ონლაინ მედიის ხარჯზე. თუ 2016 წლის 1 აპრილი - 1 დეკემბრის პერიოდში ონლაინ მედიაში 4819 მასალა გამოქვეყნდა, რომელიც ბავშვებს პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა და 7082 შეადგინა. პრესასა და ტელემედიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა. ონლაინ მედიაში მასალების რაოდენობა გაიზარდა არა იმიტომ, რომ მედიასაშუალებები უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ იმიტომ, რომ ცალკე-ცალკე ამბად შექდება სხვადასხვა საჯარო უწყების აქტივობები, ამა თუ იმ პირთა განცხადებები სკოლასთან, ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით.

მასალების რაოდენობა




მედიის მიერ ბავშვებთან დაკავშირებით გაშუქებული თემებიდან სჭარბობს განათლება (23%) თუ გავაერთიანებთ გამოცდებთან და სწავლის დაწყება დასრულებასთან დაკავშირებული მასალების რაოდენობასაც, მაშინ განათლებასთან დაკავშირებით მასალების რაოდენობა 31%-ს აღწევს.

გასულ წელთან შედარებით შეიცვალა იმ თემების რიგითობა, რომელთა ჭრილში უფრო მეტად შექედება ბავშვი. თუ 2016 წელს განათლებას მოსდევდა კრიმინალი და ქველმოქმედება, წელს ყველაზე ხშირად უბედური შემთხვევები და ჯანდაცვა შექედებოდა. რაოდენობრივად თითქმის განახევრდა ისეთი მასალები, რომლებიც ქველმოქმედებას და რომელიმე არასრულწლოვნის დასახმარებლად თანხის შეგროვებას ისახავდა მიზნად. მკვეთრად შემცირდა კრიმინალურ და სოციალურ თემაზე მომზადებული მასალების რაოდენობა, ამის საპირისპიროდ გაორმაგდა ბავშვთა უფლებებზე მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტები.

თემები - საერთო მაჩვენებელი 2017

(აგვისტოს გარეშე)



განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად ეხებოდა საგანმანათლებლო კონფერენციებს, სხვადასხვა ადგილას საბავშვო ბაღების გახსნა/რემონტს; სკოლებში მასწავლებლების გათავისუფლებას და ჩამოიღო სასწავლო პროცესს, განსაკუთრებით ონლაინ მედია ცალკე მასალებად აქვეყნებდა განათლების მინისტრის განცხადებებს სწავლის პროცესთან თუ კვლევებთან დაკავშირებით.

უბედური შემთხვევა - მედია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა უბედურ შემთხვევებს, რომლის შედეგადაც ბავშვი გარდაიცვალა ან დაშავდა. მრავლად იყო საავტომობილო ავარიების დროს დაშავებული თუ დაღუპული

არასრულწლოვნების შესახებ ახალი ამბები. ასეთი მასალები განსაკუთრებით იმატებს საზღვაო სეზონის გამო, როდესაც ხშირია ბავშვების დახრჩობის შემთხვევების გაშუქებაც. მასალების დიდი ნაწილი მხოლოდ მოკლე ინფორმაციას შეიცავდა ფაქტის შესახებ.


ჯანდაცვის კატეგორიაში მასალების დიდი რაოდენობა სეზონური ვირუსების, ვაქცინაციის გაშუქების გამო მოხვდა. აგრეთვე, აქტიურად გაშუქდა თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული კანონის გამკაცრება, რაც ხშირად უკავშირდებოდა არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხს.

3.1. სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა

რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ ბავშვების შესახებ სიღრმისეული მასალების მომზადების პრობლემა ქართულ მედიაში მთავარ გამოწვევად რჩება. მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენს ისეთი მასალები, სადაც თემა საფუძვლიანად არის განხილული, ჩანერილია ყველა შესაძლო წყარო და ჟურნალისტი ორიენტირებულია საკითხის გარკვევასა და მკითხველისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე. დანარჩენი მასალა კი მოკლე ინფორმაციაა მიმდინარე მოვლენებზე. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია მთელი გადაცემა ან სტატია მიეძღვნას ბავშვებს, თუმცა სიღრმისეულად მაინც არ გაშუქდეს თემა.

მასალის ტიპი 2017

(აგვისტოს გარეშე)



ზედაპირული გაშუქება ყველაზე ნათლად ბავშვებთან უფლებების გაშუქების მაგალითზე ჩანს, როდესაც მედია აშუქებს გაეროს ბავშვთა ფონდის, სახალხო დამცველის თუ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებებს, ანგარიშებს, სადაც არაერთი სერიოზული პრობლემაა წამომწეული, თუმცა ასეთი ანგარიშები და განცხადებები კვლავაც ვერ ხდება მედიისთვის ინსპირაციის წყარო, რომ მოამზადოს სიღრმისეული მასალა, უფრო ფართოდ გაშალოს იქ წამომწეული საკითხები. ნაცვლად ამისა აქცენტს აკეთებს მხოლოდ იმაზე, რომ პრეზენტაცია ან პრესკონფერენცია გაიმართა. თუმცა ეს ტენდენცია ბოლო პერიოდში შეიცვალა და უფრო ხშირად ხდებოდა ასეთი მასალები ვრცელი ჟურნალისტური პროდუქტის საფუძველი.

ბავშვებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები კიდევ ერთი საკითხია, სადაც მედია ფრაგმენტული გაშუქებით შემოიფარგლება. მაგალითად ზედაპირულად გაშუქდა რამდენიმე დეპუტატის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვნების დაცვას ინტერნეტის მავნე ზეგავლენისაგან და მათთვის არსებული კიბერ რისკების თავიდან არიდებას. აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალურია როგორც ბავშვთა უფლებების, ასევე მათი უსაფრთხოების ჭრილში, ამიტომ მედიასაშუალებებს შეეძლოთ საკმაოდ სიღრმისეულად გაეშუქებინათ, რა ტიპის საფრთხეებს შეიძლება წააწყდეს არასრულწლოვანი, რა შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს, რა შედეგების მომტანი იქნება ეს შეზღუდვები, რა პრაქტიკა არსებობს სხვა ქვეყნებში, როგორია ამაზე შესაბამისი ორგანოებისა თუ ამ თემაზე მომუშავე ექსპერტების მოსაზრება და ა.შ. კონკრეტული მაგალითზე იმის ჩვენებით თუ როგორ აისახება ესა თუ ის საკანონმდებლო ცვლილება ბავშვებზე, უკეთესად არის შესაძლებელი საზოგადოებისთვის მისი საჭიროების თუ უსარგებლობის ჩვენება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს არასრულწლოვნების ღირსეულ გარემოში ცხოვრებას.

მედიისთვის სიღრმისეული მასალების საფუძველი ვერ ხდება მნიშვნელოვანი თარიღებიც. მაგალითად, 2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღეა და მედიაშიც არაერთი მასალა გამოქვეყნდა, თუმცა გაშუქება ზედაპირული იყო და ფოკუსი კეთდებოდა არა აუტიზტური სპექტრის მქონე ადამიანებზე, არამედ სხვადასხვა აქტივობის მომწყობ პირებზე. რა პრობლემები აქვთ, რას აკეთებს სახელმწიფო მათ დასახმარებლად, რამდენად შედეგიანია არსებული პროგრამები - ასეთი საკითხები აუტიზმის ცნობადობის დღესაც კი ვერ მოხვდა მედიის დღის წესრიგში.

3.2. ბავშვების გარეშე


2016 წელთან შედარებით 34-დან 8 პროცენტამდე შემცირებულია იმ მასალების რიცხვი, სადაც ბავშვები თავად საუბრობენ. ყველაზე ხშირად ისინი რესპონდენტებად ტელეეთერში ჩანან. საანგარიშო პერიოდში მუწყებლების მიერ მომზადებული მასალების 23%-ში საუბრობდნენ ისინი. საერთო ჯამში, უმეტეს შემთხვევაში, მედია ბავშვებზე ისე საუბრობს, რომ თავად მათ აზრს არ ეკითხება იმ თემებზე, სადაც მათი მოსაზრება მნიშვნელოვანია.

მაგალითად, რამდენიმე არხმა გააშუქა ხაშურში სპორტული მოედნების მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმოდგენელი ინტერვიუს მიცემისას ბავშვებით არის გარემორტყმული, მათვის კომენტარი არავის უთხოვნია.

აღსანიშნავია ის რომ ბავშვების ხმა იმ შემთხვევაშიც კი არ ისმის, როდესაც მასალა უშუალოდ ბავშვების აქტივობას ეხება. მაგალითად, იქნება ეს მათ მიერ განხორციელებული პროექტი თუ კონკურსში გამარჯვება.

აქვე მნიშვნელოვანია, რომ გასულ წელთან შედარებით დილის და შუა დღის ეთერებში გაიზარდა ბავშვებთან დაკავშირებული თემებზე საუბარი. რომ არსებობს ისეთი გადაცემები, თუ გამოცემები, რომლებიც სისტემატურად აქცევენ ყურადღებას ბავშვთა საკითხების სიღრმისეულად და პროაქტიულად გაშუქებას.

ბავშვის მონაწილეობა



3.3. ბავშვთა არასაჭირო იდენტიფიცირება

დადებითი ტენდენციას, რომ მკვეთრად შემცირდა ძალადობის მსხვერპლების ან კრიმინალის ჩადენაში ბრალდებული არასრულწლოვნების იდენტიფიცირება. სამონიტორინგო პერიოდში რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევა იყო. 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი ორი მოზარდის მკვლელობაში ბრალდებულებიც არასრულწლოვანები არიან. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით ჩაბარდა პოლიციას, მისი იდენტიფიცირება რამდენიმე მედიასაშუალებამ მოახდინა. ნაწილმა მისი სახის ჩვენებით, ნაწილმა კი მისი სახელისა და გვარის დასახელებით. ეთერში გასული კადრი ფოტოს სახით გავრცელდა სოციალურ ქსელში და დიდი აგრესია გამოიწვია, კომენტარებში მის ცოცხლად დანვას, ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდნენ.

ბრალდებული და კრიმინალურ შემთხვევებში მონაწილე ბავშვთა იდენტიფიცირება რამდენჯერმე მოხდა სამონიტორინგო პერიოდში. თუმცა ამას არ ჰქონია რაიმე ტენდენციის სახე. სახელმძღვანელო წესების თანახმად, დაუშვებელია არასრულწლოვანი ბრალდებულის იდენტიფიცირება. არც ერთ აღნიშნულ შემთხვევაში მისი ვიზუალური გამოსახულების თუ სახელისა და გვარის მიმართ არ არსებობდა არანაირი საჯარო ინტერესი. მით უმეტეს რომ ბრალდებული არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ ყოფილა დადგენილი.

როდესაც მაუწყებლები მიიღებენ ბავშვის არაიდენტიფიცირების გადაწყვეტილებას, მოუგვარებელ ტექნიკურ ხარვეზად რჩება ბავშვების ისე გადაღება, რომ დაფარვის შემდეგ კადრში ბავშვის ნაცვლად გადღაბნილი წრე არ ჩანდეს. ეს მიუთითებს იმას, რომ რედაქციები თავიდანვე არ გეგმავენ უნდა მოხდეს თუ არა ვინმეს იდენტიფიცირება და მათი დაფარვის გადაწყვეტილებას პოსტ ფაქტუმ იღებენ. ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვი მაშინაც დაფარულია, როდესაც ამისი საჭიროება არ არის. არასრულწლოვნის დაფარვა მხოლოდ მაშინ არის აუცილებელი, როდესაც იდენტიფიცირებით მისი საუკეთესო ინტერესი შეიძლება დაზიანდეს. სწორედ ესაა ჟურნალისტის პასუხისმგებლობა, მიხვდეს ბავშვის ჩვენებით შეუქმნის თუ არა მას რაიმე პრობლემას.

3.4. ბავშვების სტიგმატიზება

თუ გასულ წლებში ხშირად გვხვდებოდა ერთი მაგალითი მაინც განსხვავებული ჩაცმულობის გამო ბავშვების სტიგმატიზების და ე.წ. სატანისტების თემის გა-

შუქების. ამჯერად მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. თუმცა, იყო რამდენიმე მასალა, რომლითაც ბავშვთა სტიგმატიზება ხდებოდა გარკვეული ნიშნით, მაგალითად სიმსუქნის, სიგამხდრის. შესაძლოა წლების შემდეგ რესპონდენტისთვის სასიამოვნო არც იყოს ამ კონტექსტში მისი გაშუქება. გარდა ამისა, საფრთხილოა, რომ მსგავსი თემების გაშუქების დროს არ მოხდეს ბავშვის მიმართ დისკრიმინაცია, ბულინგი მისი ვიზუალის გამო.

მედია უნდა ეცადოს თავიდან აიცილოს თემის გამძაფრება ან სანახაობაზე ორიენტირება. ამავე დროს უნდა იზრუნოს იმას, რომ ბავშვს არ მიაყენოს ფსიქოლოგიური ზიანი, გაშუქების შემდეგ არ გახდეს დაცინვის ობიექტი.

ასევე იყო შემთხვევები, როდესაც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების სტიგმატიზება, რაც ხელს უწყობს ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მიმართ ნეგატიური სტერეოტიპების, განწყობები გაძლიერებას და მათ მარგინალიზაციას.

გარკვეული ფაქტების ერთმანეთთან არასაჭიროდ დაკავშირებამ შესაძლებელია საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები გააძლიეროს. ამის მაგალითია გლდანში 6 წლის ბავშვი მე-6 სართულიდან გადმოვარდნის ფაქტის გაშუქება. არასრულწლოვანი გარდაიცვალა. რამდენიმე მასალაში ჟურნალისტმა აღნიშნა ის, რომ ბავშვს აუტისტური სპექტრის აშლილობა ჰქონდა. ტექსტი საეჭვო კავშირს ავლენდა ბავშვის დაღუპვასა და მის სამედიცინო დიაგნოზს შორის მაშინ, როდესაც ამ ორი თემის ერთმანეთთან კავშირი არანაირად არ არის დადგენილი. ამგვარმა გაშუქებამ შესაძლებელია ჩამოაყალიბოს აზრი, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს ამგვარი რამ შესაძლებელია დაემართოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ბავშვების ინტერესი დაზიანდა, როდესაც ერთერთმა გაზეთმა ხობის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეების მიმართ გამოიყენა სიძულვილის ენა, შეურაცხმყოფელი ტერმინები და ერთგვარ მორალურ სამსჯავროზე გამოიყვანა და გაციხა იმის გამო, რომ მათ გადაიღეს ვიდეო, სადაც ისინი მხარს უჭერდნენ ადამიანებს შორის თანასწორობას მიუხედავად სქესისა, რასისა, რელიგიური აღმსარებლობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. მასალაში ისინი მორალურ სამსჯავროზე იყვნენ გამოყვანილნი და კიცხავდნენ მათ. ამ მასალის წინააღმდეგ თავად ხობის სკოლამ მიმართა ქარტიას, სხდომა ხობში გაიმართა. მოსწავლეებმა სხდომის

მიმდინარეობისას გაიხსენეს ის პრობლემები, რაც სტატიის გამოქვეყნების შემდეგ შეექმნათ. ქართიის საბჭომ ამ მასალაში დაადგინა როგორც ბავშვის ინტერესების დარღვევა, ასევე დისკრიმინაცია.

3.5. არასრულწლოვანთა სუიციდის გაშუქება

არასრულწლოვანთა სუიციდის არაეთიკურად გაშუქება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. სადაც აღწერილი იყო თვითმკვლელობის მეთოდი და ადგილი. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა წაეკითხა სუიციდის სავარაუდო მოტივებისა და გარდაცვლილი არასრულწლოვნის მშობლების ურთიერთობის დეტალებიც.

კომპიუტერული თამაშის გაშუქება

სამონიტორინგო პერიოდში ბავშვებთან დაკავშირებით ყველაზე გახმაურებული ამბავი კომპიუტერული თამაში იყო, რომელსაც, მედიის ცნობით, არასრულწლოვნები სუიციდამდე მიჰყავს. „თამაში, რომელიც კლავს“, „ინტერნეტ სუიციდი“, „სიკვდილის ჯგუფები“ - ეს სიტყვები ხშირად ისმოდა ხოლმე ჟურნალისტის ტექსტებში ამ თემის გაშუქებისას. ონლაინ და ბეჭდური გამოცემების დიდმა ნაწილმა ფაქტობრივად აღწერეს კატეგორია არასრულწლოვნებისა, რომლებიც ამ თამაშში ჩაებნენ: მოზარდები, რომლებსაც აქვთ მშობლებთან გართულებული ურთიერთობა, არიან სხვადასხვა თემით იმედგაცრუებულნი, დეპრესიულები, ჩაკეტილები, რომლის მშობლებსაც არ სცალიათ შვილებისთვის. ამავე დროს გაავრცელეს ინფორმაცია სად უნდა ეძებნათ ეს თამაში. ამ თემას მედია სექტემბრის თვეშიც დაუბრუნდა, როდესაც კიდევ ერთი მოზარდი გარდაიცვალა. ამჯერადაც მეზობელ ახლობლებზე დაყრდნობით გავრცელდა ვერსია გარდაცვალებასა და თამაშს შორის კავშირზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმის გამოძიების შემდეგ თამაშსა და სუიციდს შორის კავშირი ვერ დაადგინა.

როგორ უნდა გაეშუქებინა მედიას ეს თემა

ცხადია, არსებობს ლეგიტიმური კითხვა, ხომ არ უკავშირდება სუიციდისა და თვითდაზიანების ცალკეული შემთხვევები ამ თამაშს, ხომ არ მიჰყავს თამაშს ბავშვები თვითმკვლელობამდე. ამ კითხვას სვამს არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო მედიაც. ამ კითხვების დასმისა და საქმის დეტალების გაცნობის შემდეგ, უმჯობესი იყო მედიას გაეთვალისწინებინა და ეთქვა აუდიტორიისთვის შემდეგი ფაქტები:

- ✓ მედიაში თამაშსა და თვითმკვლევლობას შორის კავშირის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის მიუხედავად, ამგვარი კავშირი ჯერ ოფიციალურად არც ერთი ქვეყნის საგამოძიებო უწყებას არ დაუდასტურებია, გარდა რუსეთისა. ამ ტიპის ბრალდებით არც არავინ დაუკავებიათ, რომელიმე სხვა ქვეყანაში, გარდა რუსეთისა;
- ✓ ცნობილი საიტი „მედუზა“ წერს, რომ გამოძიება ხარვეზებს მოიცავს, წყაროები არ ადასტურებენ ამგვარი ჯგუფების არსებობას, ხოლო არ მოიპოვება ცალკეული სუიციდის შემთხვევების და თამაშის ურთიერთკავშირის უტყუარი მტკიცებულებები
- ✓ BBC-ს რუსული რედაქცია კი ესაუბრა რუსული სოციალური ქსელის „ვკონტაქტეს“ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც დიდი ჯგუფები აქვთ შექმნილი, ისინი ამბობენ, რომ ქსელში შექმნილი ე.წ. სიკვდილის ჯგუფი ტროლი იყო, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზედმეტად სერიოზულად მიიღეს და დაიწყეს საქმის გამოძიება.

ზემოთ განხილული სკეპტიკური დამოკიდებულება თვითმკვლევლობისა და თამაშის კავშირზე, ქართული მედიის თითქმის სრულ უმრავლესობას არ განუხილავს, არადა ცხადია, მნიშვნელოვანი იყო, მაყურებელს ჰქონოდა ამომწურავი ინფორმაცია როგორც შესაძლო კავშირის, ისე ამ კავშირის მიმართ გამოსატული ლეგიტიმური სკეპტიციზმის შესახებ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო, მედიას საზოგადოებისთვის მიეწოდებინა პრაქტიკული ინფორმაცია, სუიციდის პრევენციის შესახებ. საჭირო იყო გაეთვალისწინებინა მათ შორის ქართულისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ ზედმეტად დეტალურ აღწერასა და სენსაციაზე ორიენტირებულმა სტატიებმა, რომლებიც ფოკუსირდებიან სუიციდის მსხვერპლთა მიერ გამოყენებულ მეთოდებზე, შესაძლოა სხვებს, ვინც რაიმე ფორმით, საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მოახდენს მსხვერპლთან, ასწავლოს თუ როგორ უნდა გაიმეორონ იგივე ქმედება. არასოდეს მოყვეთ დეტალები და ნუ აჩვენებთ იმ გარემოს, სადაც სუიციდი მოხდა
- ✓ არ დაასახელოთ სუიციდის ერთი კონკრეტული მიზეზი, რადგან სუიციდს კომპლექსური პრობლემები იწვევს.
- ✓ სუიციდისა და სუიციდისაგან გადარჩენილი ადამიანების გაშუქებისას ყურადღება გაამახვილეთ სუიციდის პრევენციაზე, ინფორმირებასა და მხარდაჭერაზე.

3.6. ბავშვები ქველმოქმედების, რეკლამისა და პიარ მიზნებისთვის

მართალია გასულ წლებთან შედარებით შემცირდა, მაგრამ მაინც არის არაერთი შემთხვევა, როდესაც როგორც საჯარო უწყებები, პოლიტიკოსები, ისე კერძო პირები ხშირად ბავშვებს იყენებენ საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისთვის. ასეთ შემთხვევებშიც მედია მთლიანად მიყვება მათ მიერ შემოთავაზებულ ფოკუსს, აქცენტს აკეთებს კომპანიაზე, უწყებაზე და არა თავად აქტივობის შინაარსსა და ბავშვებზე. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია დღესასწაულების და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების დროს.

წინა წლებში წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით იმატებდა ხოლმე ბავშვების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის. მართალია, სხვა თვეებთან შედარებით სექტემბერში გაიზარდა ამგვარი მასალები, მაგრამ თუ თუნდაც გასული წლის წინასაარჩევნო პერიოდს შევადარებთ, მაინც მცირედ იყვნენ არასრულწლოვნები პოლიტიკური პიარისთვის გამოყენებულნი.

არჩევნებთან კავშირში ასევე უნდა ითქვას, რომ 18 სექტემბერს საკმაოდ ბევრი მასალა დაეთმო ხელვაჩაურში ერთ-ერთ სკოლაში დაფიქსირებულ შემთხვევას, როდესაც ადგილობრივმა მასწავლებელმა ფეისბუქზე გამოაქვეყნა პირველ კლასელებთან გადაღებული ფოტო, სადაც არასრულწლოვნებს ერთ-ერთი პარტიის დროშები უკავიათ ხელში. მასალების უმეტესობაში ბავშვების იდენტიფიცირება არ ხდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე მედიასაშუალებამ არ დაფარა სახეები. ხოლო რესპონდენტთა უმეტესობა ხაზს უსვამდა პოლიტიკურ პროცესებში არასრულწლოვნების ჩართვის მიუღებლობაზე.

ამის პარალელურად მომზადდა მასალები თუ როგორ იყენებენ საარჩევნო სუბიექტები ბავშვებს წინასაარჩევნო აგიტაციაში. თავი მოუყარეს ბოლო დროინდელ ყველა ასეთ შემთხვევას. მასალას აქვს სწორი ფოკუსი თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

3.7. ტრაგედიები სენსაციურ ჭრილში

მედიის დამახასიათებელი ტენდენციაა ბავშვთა საკითხების სენსაციურ, სენტიმენტალურ კონტექსტში გაშუქება. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით უბედური შემთხვევების, სუიციდის, ოჯახში ძალადობის გაშუქებისას იკვეთება. ბავშვებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები ყველაზე ხშირად ზაფხულში შუქდება, რადგან ხშირია ზღვაში თუ მდინარეში მოზარდების დახრჩობა. მედია ნაკლებად ინტერესდებოდა იმით, თუ რამ გამოიწვია ეს შემთხვევები, იყო თუ არა უსაფრთხოების ზომები ადგილზე დაცული, რამდენად ადეკვატური და სწრაფი იყო მამკვლელების რეაგირება. ამის ნაცვლად, განსაკუთრებით ონლაინ მედიის ნაწილი სენსაციურ ჭრილში აშუქებდა ამბავს, აქვეყნებდა ბავშვის ფეისბუქ პროფილიდან აღებულ ფოტოებს და მის შესახებ დანერვილ სტატუსებს სოციალურ ქსელში.

სენსაციურ და სენტიმენტალურ ჭრილში მასალის გაშუქება საზოგადოებას მხოლოდ ემოციებს აღუძრავს და არ ემსახურება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემას, პრობლემაზე ორიენტირებას, ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე ფოკუსირებას. არაფრის მნახველი თვითმხილველების სტატუსით ჩანერილი მოქალაქეები, ახლობლები და მეზობლები კი სპეკულაციის წყარო ხდებიან, რაც სხვადასხვა სტიგმის გაძლიერებას იწვევს.

მედია აქტიურად აშუქებდა ტყუილ მოზარდების დაკარგვის ფაქტს, თავდაპირველად, გაშუქება მშრალი და ინფორმაციული იყო, აქვეყნებდნენ ბავშვების ფოტოებს და საზოგადოებას დახმარებისკენ მოუწოდებდნენ. ეთიკური პრობლემები გაშუქებისას მას შემდეგ დაიწყო, რაც ბავშვები იპოვეს. აღმოჩნდა, რომ ისინი სახლიდან გაიპარნენ და როგორც მედია წერდა, „ბათუმში გაიხიზნნენ“. ამის შემდეგ უკვე მედია დეტალურ ინფორმაციას აქვეყნებდა როგორ შეაგროვეს ფული, რა მოტივით წავიდნენ სახლიდან, ტყუპების საქციელმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, „ტუტუცები“, „უზრდელები“ - ასეთი სიტყვებით მოიხსენებდნენ მათ ამ სტატიების კომენტარების ველში. არ არსებობდა არანაირი საჯარო ინტერესი იმ დეტალების მიმართ, რასაც მედია არასრულწლოვნების პოვნის შემდეგ ყვებოდა. ამგვარმა გაშუქებამ შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას მოზარდებს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გახადოს ბულინგისა და დამცირების მსხვერპლი. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ბავშვების სახელები და გვარები საძიებო სისტემის მეშვეობით ინტერნეტში მუდმივად დაუკავშირდება ამ ისტორიას, რაც შესაძლოა არასასიამოვნო იყოს მათთვის როგორც ახლა, ისე სამომავლოდ.

3.8. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები

შეინიშნება ისეთი მასალის რაოდენობის კლება, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვინმეს დახმარებისკენ მოწოდებას ისახავდა მიზნად. თუ ონლაინ მედიასა და პრესაში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების შესახებ სენტიმენტალური მასალები მზადდებოდა, ტელევიზიაში ამგვარი სიუჟეტები მკვეთრად შემცირდა. მხოლოდ წამყვანები აცხადებდნენ გამოშვების ბოლოს საბანკო ანგარიშის ნომერს ბავშვის დასახმარებლად. წლის ბოლოსკენ ონლაინ მედიაშიც კი სულ რამდენიმე მასალა გამოქვეყნდა, სადაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების სამედიცინო დიაგნოზზე აქცენტირებითაც ცდილობდნენ მედიასაშუალებები მათ დახმარებას.

მონიტორინგის პერიოდში ძალიან ცოტა იყო ისეთი მასალები, სადაც განსაკუთრებული ნატურალიზაციით ხდებოდა ვინმეს ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერა. რამდენიმე გამონაკლის შემთხვევაში ბავშვის მძიმე მდგომარეობის აღწერას, ცდილობდა დრამატიზებას და არასრულწლოვნის როგორც, სიბრაელულის ობიექტის წარმოჩენას იწვევდა.

გასული წლების მსგავსად მძიმე სოციალური პირობებში მცხოვრები ბავშვების შესახებ კვლავაც არაერთი მასალა მომზადდა ქველმოქმედებს კონტექსტში. როდესაც სისტემური პრობლემის ჩვენების და სახელმწიფოს მიმართულებით კითხვების დასმის ნაცვლად აუდიტორიას უამბობს კონკრეტული ბავშვების სენტიმენტალურ ისტორიებს მძიმე სოციალური პირობების შესახებ.

უმჯობესია თუკი მასალები ფოკუსირებული იქნება არა მხოლოდ კონკრეტულ ამბავზე, არამედ განიხილება ფართო ჭრილში, საზოგადოება დაინახავს ჯანდაცვის სისტემურ ხარვეზებს და სასარგებლო იქნება მსგავსი პრობლემის წინაშე მდგარი სხვა ადამიანებისათვის. ამ სტატიებს შესაძლოა ჰქონდეს კეთილშობილური მიზანი დაეხმაროს პატარებს, მაგრამ რადგანაც ჟურნალისტიკის მოვალეობა პრობლემის არსის ხალხამდე მითანა, მისი მხილება და ხელისუფლების იძულებაა, რომ არსებული პრობლემები გადაჭრას, აუცილებელია ამ თემების სიდრემისეულად გაშუქება. ნათლად უნდა ჩანდეს, რატომ სჭირდება ამ ხალხს დახმარება და რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება

დაიცვას არასრულწლოვნები ამ ყოფისგან. თუ ბევრი ჟურნალისტი მოსთხოვს პასუხს ხელისუფლებას, უფრო მეტია შანსი, რომ ძირეული რეფორმები გატარდეს. ამ პრობლემის ასე ფრაგმენტულად, ზედაპირულად გაშუქებამ კი დღეს შეიძლება იხსნას კონკრეტული ბავშვი, მაგრამ ხვალ სხვები კვლავ დადგებიან ამ სისტემური პრობლემის წინაშე.


3.9. ბავშვები ანტიდასავლური სენტიმენტების გასაძლიერებლად

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ბავშვების თემა რამდენიმე მედიასაშუალების მიერ გამოყენებული იყო ანტიდასავლური განწყობების გასაძლიერებლად. მაგალითად ერთი მასალის თანახმად, რომ გერმანიაში ავტორის თქმით, სრულიად ნორმალურ ოჯახებს დაუსაბუთებელი ბრალდებების და ცილისწამების საფუძველზე ბავშვებს ართმევენ და ინტერნატებში მიჰყავთ, მერე მინდობით აღზრდაში გადასცემენ, ხშირად ჰომოსექსუალ წყვილს. მიმღები ოჯახები ბავშვს ხშირად არასათანადოდ ექცევიან, ეს ბავშვები ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლებიც. კიდევ რამდენიმე მასალა ქსენოფობიას უწყობდა ხელს. ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებდა და ტრადიციების საწინააღმდეგოდ წარმოაჩენდა სექსუალური განათლების სწავლების თემაზე მომზადებული მასალებიც. ხდებოდა დასავლური ქვეყნების დისკრედიტაცია. გაურკვეველ თეორიებზე დაყრდნობით აუდიტორიას არწმუნებენ, რომ ვაქცინა კლავს, ან აუტიზმს იწვევს. ავტორი ირწმუნებოდა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბავშვების აცრების რაოდენობა არ არის მაღალი.

თითოეული ასეთი მასალა ცალმხრივ გადაუმოწმებელ, დაუსაბუთებელ ინფორმაციას და ავტორის მოსაზრებებს ეყრდნობოდა. აღრეული იყო სხვადასხვა ცნებები და სფეროები. სრულიად დამახინჯებულად იყო გადმოცემული კანონებისა და რეფორმების ძირითადი არსი. არ იყო მოშველიებული რაიმე მტკიცებულება მოცემული ფაქტების ნამდვილობის დასადასტურებლად.

2017 წელსაც პირველმა ივნისმა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღემ ქართულ მედიაში ძირითადად ბავშვების გარეშე ჩაიარა. მომზადებული 400 მასალიდან არასრულწლოვანი რესპონდენტი მხოლოდ 45 შემთხვევაში საუბრობდა. მასალების აბსოლუტური უმრავლესობა მოკლე ინფორმაცია იყო. მხოლოდ 3 სიღრმისეული მასალა მომზადდა, სამივე ტელემედიის მიერ.

ბავშვებთან დაკავშირებული მასალების რაოდენობა 1 ივნისი



ამ დღესაც ნაკლებია ისეთი მასალები, სადაც ბავშვს აზრს ეკითხებიან. ეს ტენდენცია ფაქტობრივად უცვლელია ბოლო წლების განმავლობაში. ბავშვების ხმა ყველაზე მეტად ტელეთერში ისმოდა. ყველაზე ნაკლებად კი პრესაში. მხოლოდ ერთ მასალაში იყო წარმომჩენილი არასრულწლოვანი, როგორც რესპონდენტი.

უკვე ტენდენციად ჩამოყალიბდა, რომ ქართული მედია ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე რეალურად სხვადასხვა ორგანიზაციების პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების გაშუქების დღეა. ამ დღეს მედია ორიენტირებულია არა ბავშვთა უფლებების გაშუქების, მათი საჭიროებების წინ წამოწევის, არამედ სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებებსა და ქველმოქმედებაზე.

რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ 1 ივნისს, ბავშვების თემაზე მიძღვნილი მასალების 63% (217 მასალა) სწორედ საპირველიწილის ღონისძიებებმა, სარეკლამო და პიარ მასალებმა და საქველმოქმედო ღონისძიებებმა დაიკავა. ბავშვთა უფლებებს კი მხოლოდ 20 მასალა მიეძღვნა.

2017 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ონლაინ მედიაში იმ მასალების რაოდენობა, რაც არასრულწლოვნებს პირდაპირ ან ირიბად ეხება, თუმცა აბსოლუტური უმრავლესობა საკითხს ზედაპირულად, ფრაგმენტულად წარმოაჩენს, მოიცავს მხოლოდ ამა თუ იმ პირთა განცხადებებს, პრესრელიზებს და მოკლე ინფორმაციას. საკითხის ზედაპირული გაშუქება ხშირად ხელს უწყობს ამა თუ იმ თემაზე სპეკულაციების გავრცელებას და სტერეოტიპების გამყარებას, არასრულწლოვანთა სტიგმატიზებას. დაკვირვება აჩვენებს, რომ ტელემედია უფრო ყურადღებით და პასუხისმგებლობით აშუქებს ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს, მეტად არასრულწლოვნები მეტად ჩანან, როგორც რესპონდენტები.

გასულ წლებთან შედარებით მკვეთრი გაუმჯობესება არის ბავშვების არასაჭირო იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით. ერთეული გამონაკლისის გარდა, არ ხდებოდა მსხვერპლი ან ბრალდებული არასრულწლოვნის იდენტიფიცირება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მედია მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება და სენსიტიურ საკითხად მიიჩნევს ბავშვთა საკითხების გაშუქებას, თუმცა მეორეს მხრივ გამოჩნდა, რომ რიგ შემთხვევაში მაშინაც ფარავენ ბავშვს, როდესაც საჭირო არ არის. მნიშვნელოვანია, მედიაში გაიაზროს რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში (ბრალდებული, მსხვერპლი, მართლმსაჯულების სისტემაში ჩართვა) არის აუცილებელი მისი დაფარვა, დანარჩენ შემთხვევაში საჭიროა მედია ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად მოქმედებდეს, კონკრეტული შემთხვევისას ინდივიდუალურად გადანყვიტოს და მისი ვინაობა არ გაამჟღავნოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია მას რაიმე ტიპის ზიანი მიადგეს, მაგალითად, იძალადონ მასზე, გახდეს ბულინგის მსხვერპლი, მოხდეს მისი სტიგმატიზება, გარიყვა ან ნებისმიერი სახით გაუარესდეს მისი მდგომარეობა.

მედია ხშირად მაშინაც ახდენს ბავშვის სხვადასხვა ნიშნით სტიგმატიზებას, როდესაც პოზიტიურად ცდილობს მათ წარმოჩენას, ამიტომაც მნიშვნელოვანია დაფიქრდეს რამდენად აუცილებელია არასრულწლოვნების გაშუქებისას ხაზგასმა ამა თუ იმ ნიშანზე (წონა, ფიზიკური შესაძლებლობები, სოციალური პირობები), რა დამატებით ღირებულებას სძენს ასეთი აქცენტირება ამბავს და რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს არასრულწლოვნის ცხოვრებაში.

მიუხედავად ცალკეული მიმართულებით არსებული გაუმჯობესებისა, მედიას მაინც აქვს გამოწვევები, რათა შეძლოს არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საკითხების კვალიფიციურად გაშუქება

